სამივე კითხვა სავალდებულოა

1-ელი კითხვა

20X5 წლის 1 ივლისია. თქვენ ხართ ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ფირმა „პეგასუსის“ ერთ-ერთი მენეჯერი აუდიტის დეპარტამენტში. თქვენ გაგანაწილეს კომპანია „კრუქსი გრუპის“ (შემდეგში ჯგუფი) აუდიტზე. ამ კომპანიის ფინანსური წლის დასასრულია 20X5 წლის 30 სექტემბერი.

ფირმა „პეგასუსი“ ჯგუფის აუდიტორად 20X5 წლის იანვარში დაინიშნა.

ჯგუფი საქმიანობას მოგზაურობის დარგში ეწევა და მომხმარებელს, მსოფლიო მასშტაბით, მრავალ მარშრუტს სთავაზობს. მას 20 სამგზავრო გემი ჰყავს. ჯგუფს სამი ბრენდი აქვს, რომლებიც განსხვავებული სახის ზღვით მგზავრობას უზრუნველყოფენ.

შემდეგ **დანართებში,** რომლებიც ეკრანის მარცხენა მხარესაა განთავსებული, მოცემულია კითხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

1. პარტნიორის ელექტრონული შეტყობინება – ელექტრონული შეტყობინება, რომელიც თქვენ ნორმა სტარისგან, ჯგუფის აუდიტის გარიგების პარტნიორისგან, მიიღეთ.
2. წინაისტორია – აუდიტის დაგეგმვისთვის შესაფერისი ინფორმაცია და საკითხები.
3. შერჩეული ფინანსური ინფორმაცია – ამონარიდი ჯგუფის მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშ-ბიდან.
4. აუდიტის გუნდის შეხვედრისას გაკეთებული შენიშვნები – ამონარიდი აუდიტის გუნდის ბოლო-დროინდელი შეხვედრისას გაკეთებული შენიშვნებიდან.

ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენოთ კითხვის **მოთხოვნებზე** პასუხის გაცემისას.

დანართი 1:

ვის: აუდიტის მენეჯერს

ვისგან: აუდიტის გარიგების პარტნიორის, ნორმა სტარისგან

საკითხი: კომპანია „კრუქსი გრუპის“ აუდიტის დაგეგმვა

თარიღი: 20X5 წლის 1 ივლისი

გამარჯობა

გარკვეული ინფორმაცია მოგაწოდეთ, რომელიც უნდა გამოიყენოთ თქვენი ახალი დამკვეთის, კომპანია „კრუქსი გრუპის“ 20X5 წლის 30 სექტემბერს დასრულებული წლის აუდიტის დაგეგმვაში. ჩემ მიერ ამ დარგის ანალიზის საფუძველზე მიზანშეწონილია საერთო არსებითობის მოგებაზე დაფუძნება, რადგან ინვესტორები და დამფინანსებლები მასზე აკეთებენ ძირითად აქცენტს.

გთხოვთ, მოკლე ჩანაწერები მოამზადოთ ჩემ მიერ გამოსაყენებლად, სადაც:

(ა) ყველა დანართში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით, შეაფასებთ და პრიორიტეტს მიანიჭებთ ჯგუფის აუდიტის დაგეგმვაში გასათვალისწინებელ მნიშვნელოვან აუდიტორულ რისკებს.

შენიშვნა. არ მოგეთხოვებათ სავალუტო ოპერაციებთან და ნაშთებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინება, რადგან ეს ცალკე დაიგეგმება.

(25 ქულა)

(ბ) შეიმუშავებთ ჯგუფის ამონაგებთან დაკავშირებით სეგმენტურ ინფორმაციაზე შესასრულებელ აუდიტის ძირითად პროცედურებს.

(8 ქულა)

მე-4 დანართში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით:

(გ) შეაფასებთ საკითხებს, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს გადაწყვეტილების მისაღებად

იმის შესახებ, უნდა დათანხმდეს თუ არა ფირმა „პეგასუსი“ გარიგებას, რომელიც გულისხმობს ჯგუფის სოციალურ და გარემოსდაცვით ინფორმაციასთან დაკავშირებით კონსულტაციის გაწევას. **(12 ქულა)** მადლობა.

დანართი 2:

ჯგუფის საქმიანობა

ჯგუფი სამგზავრო გემებს სამი ბრენდის სახელით მართავს, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა საკრუიზო მარშრუტს სთავაზობს მომხმარებელს მრავალფეროვანი დანიშნულების ადგილებით. საზღვაო მგზავრობა, როგორც წესი ორ კვირას გრძელდება, თუმცა ზოგიერთი – ექვს კვირამდე.

ბრენდები კომპანიის შიგნით წარმოიქმნა და შესაბამისად, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების სახით აღიარებული არ არის.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია სამი ბრენდის შესახებ, რომელთაც ჯგუფი მართავს:

„სანსიკერ კრუიზი“ – სამგზავრო გემები, რომლებიც სტუმრობენ სანაპიროებს კარიბში, ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

„ექსპლორერ კრუიზი“ – სამგზავრო გემები, რომლებიც ქალაქებსა და ღირსშესანიშნაობებს სტუმრობენ მსოფლიო მასშტაბით.

„პიონერ კრუიზი“ – სამგზავრო გემები, რომლებიც ბუნებრივი სილამაზის მქონე ადგილებს მოინახულებენ, მათ შორის ანტარქტიკასა და ალასკას.

წლის განმავლობაში ბიზნესის განვითარება

„სანსიკერ კრუიზი“

ამ ფინანსურ წელს ჯგუფი $75 მილიონს დახარჯავს „პიონერ კრუიზის“ გემების გაუმჯობესებასა და ექსპლუატაციაზე. ეს მდიდრული გემები ძალიან მაღალი სტანდარტების დაცვას ერთგულად ემსახურებიან, ამიტომ ჯგუფი რეგულარულად ეწევა დანახარჯებს მათ მოვლა-შენახვაზე. აღდგენასთან ერთად რამდენიმე გები გაუმჯობესდა ისეთი ახალი გასართობი სისტემების დამონტაჟებით, როგორიცაა კინოთეატრები და სპორტული დარბაზები. სპორტულ დარბაზებში აღჭურვილობა საშუალოდ სამ წელიწადში ერთხელ უნდა შეიცვალოს.

„ექსპლორერ კრუიზი“

„ექსპლორერ კრუიზის“ გემები, მართალია მდიდრულია, მაგრამ ფლოტის ყველაზე ძველი გემებია და ჯგუფი მათი ახალი გემებით ეტაპობრივად ჩანაცვლებას გეგმავს. ამ ფინანსურ წელს განხორციელდება $110 მილიონის ღირებულების ორი ახალი გემის ექსპლუატაციაში გაშვება. ამ გემების მშენებლობას სამი წელი დასჭირდა. ეს გემები ააშენა „ველა შიფბილდერესმა“, კომპანიამ, რომელიც არ არის ჯგუფის წევრი. თუმცა, ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, მაქს დრაკო, იმავდროულად „ველა შიფბილდერსის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც არის და ამ კომპანიის აღმასრულებელი დირექტორია მისი ვაჟიშვილი. გემების შეძენა დაფინანსდა $110 მილიონიანი, წლიური 6% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის სესხით. „ველა შიფბილდერსი“ ამჟამად აშენებს დამატებით სამ გემს. ჯგუფმა 6·5% ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე $180 მილიონი სესხი აიღო ამ კაპიტალური დანახარჯის დასაფინანსებლად.

„პიონერ კრუიზი“

ეს სამგზავრო გემები უფრო თავგადასავლიანი მოგზაურები არიან და მათი პოპულარობა იზრდება. ამ სპეციალიზებული გემებით გარკვეული ადგილების მონახულებისთვის ჯგუფმა ოპრირების ლიცენზიები აიღო ადგილობრივი მთავრობისგან. ლიცენზიის შეძენის ღირებულება კაპიტალიზებულია არამატერიალური აქტივის სახით.

დანართი 3:

კომპანია „კრუქსი გრუპი“ – ამონარიდი მმართველობითი აღრიცხვის ანგარიშებიდან

	შენიშვნა	*საპროგნოზო 20X5 წ. 30 სექტემბრამდე* $ მილიონი	*ფაქტობრივი 20X4 წ. 30 სექტემბრამდე* $ მილიონი
ჯგუფის ამონაგები	1	764	670
საოპერაციო მოგება		145	101
მოგება დაბეგვრამდე		**81**	**65**
სულ აქტივები		**1,800**	**1,780**
სულ აქტივები მოიცავს:			
არამატერიალურ აქტივებს – ოპერირების ლიცენზიები	2	56	57
ძირითად საშუალებებს	3	1,520	1,510

შენიშვნები

1. ამონაგები მოიცავს მგზავრობის ბილეთების გაყიდვებს, რომელიც ამონაგების დაახლოებით 85%-ს შეადგენს. როდესაც მომხმარებლები გემით მგზავრობას ჯავშნიან, ისინი დაბრუნებად 20% დეპოზიტს იხდიან, რაც თავდაპირველად აღიარდება გადავადებული შემოსავლის სახით. 80% ნაშთი გადაიხდება კრუიზის დაწყებამდე სულ მცირე ექვსი კვირით ადრე და იმ მომენტში ისიც გადავადებული შემოსავლის სახით აღიარდება. ბილეთების თანხა სრულად გადადის ამონაგებში, როდესაც კრუიზი დაიწყება, მიუხედავად მოგზაურობის ხანგრძლივობისა.

   ამონაგების დანარჩენი 15% მოდის გემბანზე მგზავრებზე სურსათის, სასმელის, გართობისა და სხვა საგნების გაყიდვებზე. ხელმძღვანელობა ამონაგების ამ წყაროს მონიტორინგს ყურადღებით ახორციელებს, რადგან მას მაღალი მთლიანი მოგების მარჟა აქვს და წახალისებულია პერსონალის მიერ მომხმარებლებზე ამ გაყიდვების მაქსიმალურად გაზრდა.

   ამონაგების ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა სეგმენტების საფუძველზე ხორციელდება, ხოლო სეგმენტები ჯგუფის სამ ბრენდს ეფუძნება:

ამონაგები საოპერაციო სეგმენტების მიხედვით	*საპროგნოზო 20X5 წ. 30 სექტემბრამდე* $ მილიონი	*ფაქტობრივი 20X4 წ. 30 სექტემბრამდე* $ მილიონი
„სანსიკერ კრუიზი“	320	288
„ექსპლორერ კრუიზი“	180	190
„პიონერ კრუიზი“	264	192
სულ	**764**	**670**

2. „პიონერ კრუიზის“ გემებისთვის ოპერირების ლიცენზიებია საჭირო გარკვეული დანიშნულების ადგილების მოსანახულებლად. ლიცენზიები ამორტიზდება იმ კონკრეტული პერიოდის განმავლობაში, რომელზეც ლიცენზია ვრცელდება.

3. ძირითადი საშუალებები შემდეგი მუხლებისგან შედგება:

ძირითადი საშუალებები	*საპროგნოზო 20X5 წ. 30 სექტემბრამდე* $ მილიონი	*ფაქტობრივი 20X4 წ. 30 სექტემბრამდე* $ მილიონი
გემები, რომლებიც გამოიყენება	2,041	2,010
გემები, რომელთა მშენებლობა მიმდინარეობს	83	62
სხვა ძირითადი საშუალებები	180	173
	2,304	**2,245**
დაგროვილი ცვეთა	(784)	(735)
საბალანსო ღირებულება	**1,520**	**1,510**

დანართი 4:

გუშინ გაიმართა შეხვედრა, სადაც აუდიტის გარიგების პარტნიორმა რამდენიმე საკითხი განიხილა:

ბოლოდროინდელი მოვლენები, რომლებიც გავლენას ახდენს „პიონერ კრუიზზე“

გასულ კვირას რამდენიმე ქვეყნის მთავრობამ, რომლებიც „პიონერ კრუიზის“ მარშრუტის ძირითად ნაწილებს მოიცავს, გააუქმეს მათ მიერ გაცემული ოპერირების ლიცენზიები და ეს გადაწყვეტილებები დაუყოვნებლივ შედის ძალაში. მთავრობებმა განაცხადეს, რომ მოსალოდნელია დროებითი ზომების მიღება, რათა შეიზღუდოს ტურისტების რაოდენობა, რომლებიც ბუნებრივად ლამაზ ადგილებს სტუმ-რობენ, მაგრამ არ დაადასტურეს, თუ როდის შეძლებს ჯგუფი საქმიანობის განახლებას აღნიშნულ ქვეყნებში.

შეტევა საინფორმაციო უსაფრთხოებაზე

გასულ თვეს ჯგუფის საინფორმაციო უსაფრთხოებაზე შეტევა განხორციელდა და 1,400 მომხმარებლის პირადი ინფორმაცია დაიკარგა, მათ შორის მოიპარეს ინფორმაცია საკრედიტო ბარათების შესახებ. ჯგუფის აუდიტის კომიტეტის წარმომადგენლის განცხადების თანახმად, ჯგუფის შიდა აუდიტის გუნდს სათანადოდ არ შეუფასებია საინფორმაციო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, რაც ახლახან მიღებული მონაცემების დაცვის კანონმდებლობის მოთხოვნაა იმ იურისდიქციაში, სადაც ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას. პრობლემა, რომელმაც საინფორმაციო უსაფრთხოებაზე შეტევა განაპირობა, ახლა გადაიჭრა.

სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაცია

ჯგუფის აუდიტის კომიტეტმა იკითხა, შეუძლია თუ არა „პეგასუსს“ დამატებითი მომსახურების გაწევა, რათა ხელმძღვანელობას კონსულტაცია გაუწიოს იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა შეფასდეს გარკვეული სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაცია, რომელიც ჯგუფის ვებგვერდზე ქვეყნდება და დარგის ახალი კანონმდებლობით მოითხოვება მისი მარეგულირებელი ორგანოებისთვის გაგზავნა. სოციალური და გარემოსდაცვითი ინფორმაცია დაკავშირებულია ისეთ საკითხებთან, როგორიცაა წყლის ეფექტიანად მოხმარება, ენერგიის მოხმარება, საქველმოქმედო შენატანები და ინიციატივები, რომლებიც სამუშაო ადგილზე მრავალფეროვნებას მხარს უჭერს. იმის აღსანიშნავად, რომ ეს სასწრაფოა, რადგან მარეგულირებელი ორგანოსთვის ინფორმაციის მიწოდების ვადა მომდევნო თვეში იწურება, ჯგუფის აუდიტის კომიტეტმა განაცხადა, რომ მზად არის „გაზრდილი საზღაური“ გადაიხადოს ამ მომსახურებისთვის.

მოგეთხოვებათ:

უპასუხოთ აუდიტის გარიგების პარტნიორისგან მიღებულ ელექტრონულ შეტყობინებას მასში მოცემული მითითებების საფუძველზე.

შენიშვნა. ქულების განაწილება ნაჩვენებია 1-ელ დანართში - პარტნიორის ელექტრონული შეტყობინება.

(45 ქულა)

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში კომუნიკაციის, ანალიზისა და შეფასების უნარის, პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის უნარის, ასევე კომერციული ალღოს დემონსტრირებისთვის.

(5 ქულა)

(სულ 50 ქულა)

მე-2 კითხვა

20X5 წლის 1 ივლისია. თქვენ ხართ ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ფირმა „ველფორდის“ ერთ-ერთი აუდიტის მენეჯერი. თქვენი მოვალეობაა აუდიტის დასკვნის გაცემის შემდეგ აუდიტის ხარისხის მიმოხილვა და გთხოვეს კომპანია „რივერსის“ 20X5 წლის 31 იანვარს დასრულებული წლის ჩატარებული აუდიტის მიმოხილვა.

შემდეგ **დანართებში,** რომლებიც ეკრანის მარცხენა მხარესაა განთავსებული, მოცემულია კითხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

1. გუნდი და საზღაური – ინფორმაცია აუდიტის გუნდის შემადგენლობის, აუდიტზე დახარჯული დროისა და დამკვეთისთვის დაკისრებული საზღაურის ოდენობის შესახებ.
2. ფუნქციონირებადი საწარმო – დეტალური ინფორმაცია საკითხებზე, რომლებიც თქვენ გამოავლინეთ აუდიტის ფაილის ფუნქციონირებადი საწარმოს ნაწილის მიმოხილვისას.

ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენოთ კითხვის **მოთხოვნებზე** პასუხის გაცემისას.

დანართი 1

კომპანია „რივერსი“ საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანიაა, რომელიც მშენებლობის დარგში მოღვაწეობს. კომპანია იცავს კორპორაციული მართვის რეგულირებას და შექმნილი აქვს აუდიტის კომიტეტი. კომპანია „რივერსი“ „ველფორდის“ აუდიტის დამკვეთია რვა წლის განმავლობაში, ბობი ნიუბოლდი კი აუდიტის გარიგების პარტნიორია ამ ხნის განმავლობაში.

ბობი ნიუბოლდმა გასულ კვირას მოაწერა ხელი და გამოსცა კომპანია „რივერსის“ აუდიტორის დასკვნა, რომელიც არამოდიფიცირებულ მოსაზრებას მოიცავდა.

„ველფორდი“ თავისი თანამშრომლებისგან მოითხოვს, რომ ფირმის დროის მართვის სისტემაში აღრიცხონ თითოეულ დამკვეთზე მუშაობის ყოველი საათი. კომპანია „რივერსის“ აუდიტთან დაკავშირებით აღნიშნული ჩანაწერების მიმოხილვისას თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბობმ და აუდიტის გუნდის სხვა წევრებმა ამ აუდიტთან დაკავშირებით აღრიცხეს დროის შემდეგი ხანგრძლივობა:

ბობი ნიუბოლდი – აუდიტის გარიგების პარტნიორი	2 საათი
პეტ კენლი – უფორსი აუდიტის მენეჯერი	6 საათი
ანესა კინტონი – აუდიტის მენეჯერი	35 საათი
აუდიტის ექვსი თანაშემწე	130 საათი
აუდიტზე დახარჯული მთლიანი დრო	173 საათი

თქვენი მიმოხილვიდან ცხადია, რომ აუდიტის დოკუმენტების დეტალური მიმოხილვა თითქმის მთლიანად ანესა კინტონმა შეასრულა, რომელმაც თავისი მიმოხილვის მტკიცებულება შექმნა აუდიტის ფაილის თითოეულ გვერდზე „საბოლოო მიმოხილვის“ მიწერით. ის ახლახან დააწინაურეს აუდიტის მენეჯერად.

თქვენთვის ასევე ცნობილია, რომ ბობი ნიუბოლდმა არააუდიტის სამუშაოს შესრულებისთვის კომპანია „რივერსს“ ჯამში 40 საათის ანაზღაურება დააკისრა. ერთადერთი ინფორმაცია, რომელიც თქვენ იპოვეთ არის ის, რომ არააუდიტის სამუშაო დაკავშირებულია „სპეციალურ გამოკვლევასთან“ და ბობის რწმუნება, რომ ეს სამუშაო აუდიტორის ობიექტურობის საფრთხეს არ წარმოშობს.

აუდიტისთვის დაკისრებული მთლიანი საზღაური იყო $250,000, ხოლო „სპეციალური გამოკვლევისთვის“ კი $890,000.

დანართი 2

აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვის შედეგად თქვენთვის ცნობილი გახდა, რომ აუდიტის დაგეგმვის ეტაპზე საწარმოს ფუნქციონირებადობა გამოვლინდა, როგორც აუდიტის მნიშვნელოვანი

რისკი კომპანიის მრავალი სამშენებლო ხელშეკრულების დაბალი მოგების მარჟების ან ზარალიანობისა და მზარდი ეკონომიკური განუსაზღვრელობის გამო. როგორც წესი, კომპანია ერთდროულად 20 ხელშეკრულებას ასრულებს.

დამკვეთის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული აუდიტის სამუშაოს უმეტესი ნაწილი აუდიტის თანაშემწე მერი ლოქსლმა შეასრულა, რომელმაც ახლახან ჩააბარა თავისი ბოლო პროფესიული გამოცდა და ჯერ კვალიფიკაცია არ მიუღია. ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებით შესრულებული აუდიტის სამუშაოს უმეტესი ნაწილი მოიცავდა ხუთი ძირითადი ხელშეკრულების მიმოხილვას მათი მომგებიანობის დასადგენად. კომპანია „რივერსის“ ხელმძღვანელობამ გამოავლინა ძირითადი ხელშეკრულებები მიმოხილვისთვის და მერის მიაწოდა პროგნოზი, სადაც მითითებული იყო, რომ ყველა ხელშეკრულება მცირე მოგებას წარმოქმნიდა. მერიმ დაადასტურა, რომ პროგნოზში გამოყენებული დაშვებები შესაბამისობაში იყო გასულ წელს გამოყენებულ დაშვებებთან. მერიმ ასევე გამოიყენა ფირმის მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტი იმისათვის, რომ დაედასტურებინა პროგნოზების მათემატიკური სისწორე და ასევე ის, რომ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები სათანადოდაა ასახული პროგნოზებში. ამ სამუშაოს შესრულების შემდეგ მერიმ დაასკვნა, რომ მის მიერ განხილული ხელშეკრულებები განამტკიცებენ კომპანიის ფუნციონირებადობის სტატუსს.

აღნიშნული ძირითადი ხელშეკრულებების მიმოხილვის შემდეგ მერიმ ფუნქციონირებადი საწარმოს შესახებ დასკვნა დაასრულა იმის გაცხადებით, რომ საწარმოს ფუნქციონირებადობის უნართან დაკავ-შირებით მნიშვნელოვანი განუსაზღვრელობა არ არსებობს.

მერიმ კომენტარი გააკეთა, რომ მონაცემების ანალიზის ინსტრუმენტის ეფექტურობის გამო მან რვა საათი აღრიცხა საწარმოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებით.

მოგეთხოვებათ:

შეაფასოთ კომპანია „რივერსის“ აუდიტის დაგეგმვისა და ჩატარების ხარისხი, განიხილოთ ხარისხის მართვა, წამოჭრილი ეთიკური და პროფესიული საკითხები და წარმოადგინოთ სათანადო ქმედებების შესრულების რეკომენდაცია.

(23 ქულა)

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში ანალიზისა და შეფასების უნარის, პროფესიული სკეპ-ტიციზმისა და განსჯის უნარის, ასევე კომერციული ალღოს დემონსტრირებისთვის. **(2 ქულა)**

(სულ 25 ქულა)

მე-3 კითხვა

20X5 წლის 1 ივლისია. თქვენ ხართ მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია საფონდო ბირჟაზე კოტირებული კომპანია „მირონის“ აუდიტზე. ახლა თქვენ 20X5 წლის 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასრულების პროცესში ხართ. აუდიტორის დასკვნას ხელი მომდევნო რამდენიმე კვირაში უნდა მოეწეროს. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სავაჭრო და სამეცნიერო ჟურნალების გამოცემა.

ფინანსური ანგარიშგების პროექტში აღიარებულია ამონაგები $108 მილიონი (20X4 წ.: $102 მილიონი), მოგება დაბეგვრამდე $9.3 მილიონი (20X4 წ.: $8.2 მილიონი) და მთლიანი აქტივები $150 მილიონი (20X4 წ.: $149 მილიონი). არსებითობა განისაზღვრა $0.5 მილიონით.

შემდეგ **დანართებში,** რომლებიც ეკრანის მარცხენა მხარესაა განთავსებული, მოცემულია კითხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია:

1. დასრულებასთან დაკავშირებული საკითხები – დეტალური ინფორმაცია პრობლემის შესახებ, რომელიც თქვენ აღმოაჩინეთ აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვისას.
2. თავმჯდომარის განცხადება – ხელმძღვანელობამ მოგაწოდათ ამონარიდი თავმჯდომარის განცხადებიდან, რომლის წლიურ ანგარიშში გამოქვეყნებას აპირებენ.

ეს ინფორმაცია უნდა გამოიყენოთ კითხვის **მოთხოვნებზე** პასუხის გაცემისას.

დანართი 1

თქვენ ასრულებთ აუდიტის სამუშაო დოკუმენტების მიმოხილვას და გამოავლინეთ შემდეგი სავარაუდო პრობლემა:

ქვედანაყოფის გაყიდვა

კომპანია „მირონი“ თავისი სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფის გაყიდვის შესახებ მოლაპარაკებების ბოლო ეტაპზეა. 20X5 წლის 31 მარტს დასრულებულ წელს ამ ქვედანაყოფის წვლილი ამონაგებში $13 მილიონი იყო, ხოლო დაბეგვრამდე მოგებაში კი $1·4 მილიონი. გაყიდვის შეთანხმების პროექტი საბოლოო რედაქციით 20X5 წლის 1 აგვისტოს ჩამოყალიბდება და მასში მოცემული გასვლის დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასია $42 მილიონი. ეს ქვედანაყოფი კომპანია „მირონის“ ცალკე ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულია. ქვედანაყოფის არცერთი აქტივი არ ექვემდებარება გადაფასების პოლიტიკას და ცვეთა წრფივი მეთოდით ერიცხება აქტივების განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

კომპანია „მირონის“ ფინანსურ დირექტორს 20X5 წლის 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია არ გაუმჟღავნებია მოახლოებული გაყიდვის შესახებ, რადგან მას მიაჩნია, რომ ეს მომდევნო წლის სააღრიცხვო ოპერაციების ნაწილია. თუმცა, 20X5 წლის 31 მარტს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ქვედანაყოფის საბალანსო ღირებულება $45 მილიონიდან $41 მილიონად შეფასებულ ღირებულებამდე ჩამოიწერა.

დანართი 2

კომპანია „მირონის“ მიმოხილვის ფარგლებში თქვენ წარმოგიდგინეს ასევე ამონარიდი თავმჯდომარის განცხადებიდან, რომელიც წლიურ ანგარიშში გამოქვეყნდება წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად.

ამონარიდი თავმჯდომარის განცხადებიდან

წელს კომპანიის შედეგები ძალიან პოზიტიურია. წლიდან წლამდე ჩვენი ამონაგები 5·9%-ით იზრდება, ხოლო მოგების ზრდის ტემპი კიდევ უფრო მაღალია, 13·4%. ჩვენი ამონაგების ყველა წყაროს კარგი შედეგები აქვს, განსაკუთრებით სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფს და მოუთმენლად მოველით მომავალ წელს კვლავ დაჩქარებულ და მდგრად ზრდის ტემპებს. როგორც

აუდიტორის დასკვნაში ხედავთ, აუდიტორი ეთანხმება, რომ ჩვენ მყარი შედეგები და ჯანსაღი საფუძველი გვაქვს მომდევნო წელს კიდევ უფრო წარმატების მისაღწევად. მნიშვნელოვან პროგრესს მივაღწიეთ ასევე ჩვენი სოციალური და გარემოსდაცვითი მიზნების კუთხით, შევამცირეთ ნახშირჟანგის გამოყოფა და წავახალისებთ ჩვენს ქვედანაყოფებში მასალების ხელახლა გამოყენებასა და რეციკლირებას. სიამაყით ვაცხადებთ, რომ ჩვენი პროდუქცია მთლიანად რეციკლირებულ ქაღალდზე იბეჭდება.

ინფორმაციის მიმოხილვაში დასახმარებლად მოგაწოდეს ასევე წლის შედეგების შემდეგი ანალიზი.

	20X5 წ. 31 მარტს დასრულებული წელი			**20X4 წ. 31 მარტს დასრულებული წელი**		
	სხვა ქვედანაყოფები	*სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფი*	*სულ*	*სხვა ქვედანაყოფები*	*სამეცნიერო-საგამომცემლო ქვედანაყოფი*	*სულ*
	$ მლნ.	**$ მლნ.**	**$ მლნ.**	**$ მლნ.**	**$ მლნ.**	**$ მლნ.**
ამონაგები	95	13	108	93	9	102
მოგება დაბეგვრამდე	7.9	1.4	9.3	7.5	0.7	8.2

ფაილში აუდიტის ზედამხედველის მიერ გაკეთებულ შენიშვნაში მითითებულია, რომ კომპანია „მირონის“ სულ მცირე სამი გამოცემა დაბეჭდილი არ არის რეციკლირებულ ქაღალდზე.

მოგეთხოვებათ:

(ა) 1-ელ დანართში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით:

(i) კომენტარი გააკეთოთ აუდიტის დასრულების იმ საკითხებზე, რომლებიც გათვალისწინებულ უნდა იქნეს ზემოაღწერილ პრობლემასთან დაკავშირებით და წარმოადგინოთ დამატებითი ქმედებების რეკომენდაცია, რომელთა შესრულება აუცილებელია აუდიტორის დასკვნაზე ხელმოწერამდე; და

(ii) შეაფასოთ გავლენა აუდიტორის დასკვნაზე, თუ ფინანსურ ანგარიშგებაში არავითარი შესწორება არ იქნება შეტანილი.

(11 ქულა)

(ბ) მე-2 დანართში მოცემული ინფორმაციის გამოყენებით:

(i) აღწეროთ აუდიტორის პასუხისმგებლობა აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარდგენილ სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით და შეაფასოთ საკითხები, რომლებიც წარმოიქმნება თავმჯდომარის განცხადებიდან ამონარიდთან დაკავშირებით; და

(6 ქულა)

(ii) თუ დავუშვებთ, რომ თავმჯდომარის განცხადებაში ცვლილებებს არ შეიტანენ, შეაფასოთ გავლენა აუდიტის დასრულებასა და აუდიტორის დასკვნაზე.

(6 ქულა)

პროფესიული ქულები მოგენიჭებათ პასუხში ანალიზისა და შეფასების უნარისა და პროფესიული სკეპტიციზმისა და განსჯის უნარის დემონსტრირებისთვის. **(2 ქულა)**

(სულ 25 ქულა)